ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №406989

ნომერი: AR187218

თარიღი : 18.10.2012

გაცემის თარიღი : 25.10.2012

გაცნობის თარიღი : 26.10.2012

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი II , (თბოსადგური N 45) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელისო ხარშილაძე პ/ნ 38001000468
- საჩხერე ს. კორბოული

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.17.07.017.006) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა-6–ის (სზ-6) სტატუსი.

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6):
ა) მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები.
ბ) კოეფიციენტები:
ბ.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0.5
ბ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 2,5
ბ.გ) მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1.
შესაბამისად ინდივიდუალური სახლის მშენებლობა მოცემულ ზონაში დაუშვებელია.

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეული ხდის შეუსაბამოს მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: #01.17.07.017.004) და მასზე განთავსებულ შენობა–ნაგებობას.

დამატებით გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიაჩნია თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საცხოვრებელი ზონა-6–ის (სზ-6) ფუნქციით განვითარება, იმ შემთხვევაში თუ განხორციელდება მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.17.07.017.004) მისასვლელი და გარშემოსავლელი (სარვიტუტი 7.5 მეტრი) გზით უზრუნველყოფა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.